პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 აპრილი, კვირა, 1989 წ. № 84 (10 003) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## 1 მაისი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს სპორტსახკომში

**კოლეგიის** ამ სხდომაზე, რომელიც გუშინწინ გაიმართა რესპუბლიკის სპორტსახკომში, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი იყო 1988-89 წლების სპორტულ სეზონში სპორტის ზამთრის სახეობებში გამართულ საკავშირო შეჯიბრებებში, მათ შორის I საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობის შედეგების განხილვა. კოლეგიაზე ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკაში გამოუყენებელი რჩება ბუნებრივი შესაძლებლობები, ამასთან ჭიანურდება ბაზების კეთილმოწყობა, სპორტული სკოლები და ჯგუფები ვერ ასრულებენ დაკისრებულ ფუნქციას, მწვრთნელთა და, საერთოდ, სპეციალისტთა შორის არ არის ერთსულოვნება. დაქსაქსულობა და პირადი ამბიციები აფერხებს პრობლემების გადაჭრას. საერთო ინტერესებისადმი სანიმუშო დამოკიდებულების მაგალითად მოიტანეს წარსულში ცნობილი მხტომელის კობა წაქაძის საქმიანობა. კოლეგიამ კ. წაქაძეს მადლობა გადაუხადა იმ ხელშეწყობისა და დახმარებისათვის, რასაც იგი იჩენს სპორტის ზამთრის სახეობების მიმართ.

განვლილ სპორტულ სეზონში წარმატებად ჩაითვალა მხოლოდ მოციგავეებისა და მხტომელ კახაბერ წაქაძის შედეგები. არადამაკმაყოფილებლად შეფასდა პირველ საკავშირო ახალგაზრდულ ზამთრის თამაშებში რესპუბლიკის სამთო მოთხილამურეთა მონაწილეობა. მიღებულ დადგენილებაში დასახულია მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული გზები.

რესპუბლიკაში ახლა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საფეხბურთო ცხოვრების გაჯანსაღებას, წლევანდელი საქართველოს ჩემპიონატი ახლებურადაც ტარდება, რომლის მიზანია მასობრივი გზით პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენა-დაოსტატება. კოლეგიის ამ სხდომაზე იმსჯელეს ცხაკაიას რაიონში მასობრივი ფეხბურთის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განთავითარების ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა წარმატებები, მაგრამ ითქვა ისიც, რომ რაიონში მწვავედ იგრძნობა საფეხბურთო მოედნების ნაკლებობა, განსაკუთრებით რაიონულ ცენტრში. კომპლექსური სპორტსკოლის ბავშვთა ფეხბურთის ჯგუფებს არ გააჩნიათ მეცადინეობის ნორმალური პირობები. არადამაკმაყოფილებელია მწვრთნელ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია. ყოველივე ამის გამო ბავშვთა გუნდები წარუმატებლად გამოდიან რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, „ეგრისმა" კი საქართველოს პირველობების მეორე ჯგუფში გადაინაცვლა.

ცნობად იქნა მიღებული რომ ზემოაღნიშნულ რაიონში ფეხბურთის განვითარებაში შექმნილ არსებულ მდგომარეობას მწვავე შეფასება მისცა საქართველოს კპ ცხაკაიის რაიკომის ბიურომ, რაისაბჭოს აღმასკომმა და დასახა საქმის გაუმჯობესების ღონისძიებები.

კოლეგიის დადგენილებით ეთხოვა პროფკავშირთა რესპუბლიკურ სპორტსაზოგადოებას 1990 წელს ცხაკაიაში გაიხსნას სპეციალიზებული სპორტული სკოლა და კონტინგენტი განისაზღვროს 300 მომეცადინით.

განიხილეს რესპუბლიკის მოკრივეთა უფროსი მწვრთნელის ბ. მამულაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ ნაკრების მწვრთნელები ახლა ყველაფერს აკეთებენ ადრე დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად, ამაღლდა მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა, სპორტული სკოლების წინაშე დასახულია კონკრეტული ამოცანები. კოლეგიამ დაამტკიცა რესპუბლიკაში 1989-92 წლებში კრივის განვითარების მიზანმიმართული ღონისძიებების გეგმა.

ქვეყნის სპორტსმენები, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის ათლეტები, აქედანვე გულდასმით ემზადებიან 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშებისათვის. კოლეგიამ განიხილა ოლიმპიელ კანდიდატთა სია და მათი მომზადების დავალებები, როგორც სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების, ისე რესპუბლიკის რეგიონების მიხედვით.

დღის წესრიგში იდგა აგრეთვე IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისათვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების მიმდინარეობის შედეგები სპორტსახკომთან შექმნილი საგანგებო შტაბის ანალიზის მიხედვით.

ბევრი საყურადღებო წინადადება წამოიჭრა სპორტულ საზოგადოებებში და უწყებებში სპორტულ ტანვარჯიშის მდგომარეობის საკითხზე და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებზე მსჯელობისას.

კოლეგიის ამ სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სხვა საკითხები და დაამტკიცეს ნომენკლატურული მუშაკები.

ტრაგედიის ექო — გუშინ, ტელეფონით...

# „მწამს, სიმართლე ბოლომდე გაირკვევა"

**მართალი** გითხრათ, გული რაღაც უსიამოვნოს მიგრძნობდა, როდესაც თბილისში მომხდარ ამბებზე ვკითხულობდი პრესაში ძუნწ ინფორმაციას ან მოკლე ოფიციალურ ცნობას ვისმენდი ტელევიზიით. სტრიქონებს შორის და „ვრემიას" დიქტორთა ინტონაციაში, მაინც იგრძნობოდა, რომ საქართველოს დედაქალაქში რაღაც არაორდინალური, უჩვეულო ხდებოდა. მერე ჩემი თბილისელი მეგობრებისაგან გავიგე ტელეფონით საქმის ნამდვილი ვითარება, თავზარდამცემი სინამდვილე, პირდაპირ ვანდალიზმის ფაქტები. მაგრამ ხომ იცით, ათასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობბს და ის, რაც იმავე ტელევიზორის ეკრანმა აჩვენა „ვზგლიადში" პარასკევს გვიან ღამით, რაღაც კოშმარულ სიზმარს ჰგავს. პროგრამის წამყვანს — ამ მუდამ ენაწყლიან ჭაბუკს — ამჯერად პირდაპირ ენა ჩაუვარდა: არ ვიცი რა გითხრათო, ასეთ ფაქტზე არასოდეს მისაუბრიაო. გულშეკუმშული ვუყურებდი ბოლომდე. მადლობა იმ მოყვარული კინოოპერატორის მარჯვენას, რომელმაც სიცოცხლის რისკად ბოლომდე არ მოაცილა თავისი კამერის ობიექტივი ამ სასაკლაოს.

მიხარია, რომ სალმა აზრმა გაიმარჯვა, ბოლოს და ბოლოს სიმართლე ითქვა მომხდარი ტრაგედიის თაობაზე. ვიცი, რომ ამ ამბებს კომპეტენტური ორგანოები და პირები იძიებენ, მათ შორის საკავშირო პროკურატურაც. მინდა დავიჯერო, რომ ყველაფერი ობიექტურად წარიმართება, მწამს სიმართლე ბოლომდე გაირკვევა.

და ბოლოს ერთი რამ: შვიდი წელი ვმუშაობდი საქართველოში და არ მახსოვს ვინმეს აზრად მოსვლოდეს დაპირისპირება ერებს შორის. მწყინს როცა ზოგიერთ გაზეთში ამ საკითხს არასამართლიანად და ხელოვნურად უსვამენ ხაზს.

**მიხაილ იაკუშინი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

**მოსკოვი.**

# ფარდა აეხადა

**სამწუხაროდ,** დღემდე მოსკოვში მცხოვრებ ქართველებს და არა მარტო ჩვენ, 9 აპრილის დილას თბილისში მომხდარი ტრაგედიის შესახებ მხოლოდ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები გვქონდა, რაც სრულ წარმოდგენას არ იძლეოდა მომხდარი საშინელების შესახებ. რატომღაც, საკავშირო ინფორმაციის მასობრივი საშუალებები ან დუმდა ან კიდევ ძალზე მშრალ, არაფრისმთქმელ, ზერელე ცნობებს გვაწვდიდა. მხოლოდ პარასკევს, საკავშირო ტელევიზიის გადაცემა „ვზგლიადით" მოგვეცა საშუალება ნათლად გვეხილა, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები თბილისში მთავრობის სასახლისწინა მოედანზე. ალბათ ჩემსავით ყველა შეძრა იმ საშინელებამ, რომელიც ჯარის ნაწილებმა მოიმოქმედეს სრულიად უდანაშაულო მოხუცებისა და ბავშვების მიმართ.

სხვათა შორის, საკავშირო ტელევიზიის ის პროგრამაც ვერ იყო მთლად ობიექტური, რომელიც „ვზგლიადს" წინ უსწრებდა. მხედველობაში მაქვს საინფორმაციო პროგრამა „ვრემიაში" ნაჩვენები რეპორტაჟი შინაგანი ჯარების იმ ნაწილიდან, რომელმაც თბილისში, დემონსტრანტები განდევნა. მართლწესრიგის დამცველებმა ეკრანზე ახლო პლანით გვაჩვენეს დამცველი საშუალებები, რომლებიც „მეამბოხეებმა" დაუზიანეს... ყველაფერი ეს უსუსურად გამოიყურებოდა, ისევე როგორც მათი თავის მართლება იმის შესახებ, რომ თითქოს მათ ხელი არ გაენძრიათ და უდრტვინველად იტანდნენ აგრესიას. ყველაფერ ამას ფარდა მაშინ აეხადა, როცა ეკრანზე 9 აპრილს გადაღებული ვიდეოფილმი აჩვენეს.

ტენდენციურობა ხალხის საშინელ გულისწყრომას იწვევს, რასაც მეც ვუერთებ ჩემს ხმას.

**როსტომ ჩაჩავა,**
**საქართველოსა და რსფსრ-ის დამსახურებული მწვრთნელი წყალბურთში.**

**მოსკოვი.**

# ახლა უკვე მსოფლიო ჩემპიონიც

**სარაევო (იუგოსლავია).** სეულის ოლიმპიადის ჩემპიონმა ტყვიის სროლაში, თბილისელმა ნინო სალუქვაძემ აქ მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა. ამბობენ სპორტში ისტორია იშვიათად მეორდებაო, მით უფრო ისეთ „უკუღმართ" სახეობაში, როგორიც პნევმატური პისტოლეტის სროლა გახლავთ, სადაც ბუზის გაფრენა რაა, ისიც შეიძლება დამღუპველი გამოდგეს მოასპარეზეთა შედეგებზე. მაგრამ ნინო სალუქვაძისა და იუგოსლაველი იასნა სეკარიჩის გვარებს ბოლო დროს ერთად ხშირად ვახსენებთ და დღესაც მათზე გვიხდება საუბარი. ჩანს, მათი მძლეველი მსოფლიოში ჯერჯერობით არავინ არის.

ნინო სალუქვაძე და იასნა სეკარიჩი! ამ წყვილის „თანამეგობრობას" საფუძველი შარშან, სეულის ოლიმპიადის დღეებში ჩაეყარა. თუმცა, ცოტა უფრო ადრე, იმავ სეულში, სალუქვაძემ კარგად დაამახსოვრა თავი ადგილობრივ გულშემატკივრებს, როცა მსოფლიო თასი მოიგო. ოლიმპიადამდე ნინოს არა ერთი სახელოვანი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული — იყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის, რომ არაფერი ვთქვათ საკავშირო ჩემპიონატებზე, იყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მოზრდილთა შორის, ოღონდ გუნდურ შეჯიბრებაში. აი სეულის წარმატებამ კი 19 წლის თბილისელი გოგონას სპორტული ბიოგრაფია ლოგიკურად შეკრა, თუმცა რა დროს შეკვრაზეა ლაპარაკი, როცა მთელი ცხოვრება ოლიმპიურ და ახლა უკვე მსოფლიო ჩემპიონსაც ჯერ წინა აქვს.

სეულის ოლიმპიადაზე ნინოს მეორე ოქროს მედლის მიღებაც შეეძლო, სწორედ იმ სახეობაში, სადაც ახლა ჩემპიონი გახდა (პნევმატური პისტოლეტი). სამხრეთ კორეის სასროლეთზე მან ბრწყინვალედ ჩაატარა შეჯიბრების პირველი ნახევარი და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. მაგრამ ორმაგი გამარჯვების რეალურ პრეტენდენტს ერთ მომენტში ხელი შეეშალა და პირველობა თავის „აჩრდილს" — იუგოსლაველ იასნა სეკარიჩს დაუთმო. თავად კი ვერცხლის ჯილდოს დასჯერდა. მაშინ იუგოსლაველის შედეგი 489,5 ქულა იყო, სალუქვაძისა — 487,9.

ისტორიას მართლაც არ უყვარს ანალოგიები მაშინაც კი, როცა მასში იგივე მომქმედი პირნი მონაწილეობენ. არა და სარაევოშიც პნევმატური პისტოლეტის „ოქრო და ვერცხლი" ამ ორ მსროლელს უნდა გაენაწილებინა. ნინომ ამჯერად ხელიდან არ გაუშვა თავისი შანსი და სეულის სიუჟეტში ოდნავი კორექტივი შეიტანა. თვითონ ჩემპიონი გახდა, მეტოქეს კი ვერცხლის ჯილდო დაუტოვა.

# ვის აძლევს ხელს?

**თბილისში** მე ბევრი მეგობარი მყავს, ბევრჯერ შევხვედრივართ მოსკოვშიც და თქვენს ქალაქშიც. ამიტომ განსაკუთრებით განვიცადე ყოველივე, რაც თქვენთან მოხდა. ეს მთელი საბჭოთა ადამიანების ტრაგედიაა, მართლაც რომ ლახვრის ჩაცემაა ჩვენს იმედსა და ოცნებაში — გარდაქმნაში. ვინც ეს არაადამიანური აქცია მოიმოქმედა, ჩვენი საზოგადოების, მისი მომავლისა და კეთილდღეობის მტერია. არ მინდა დავიჯერო — ნუთუ ჩვენს გვერდით არიან ასეთებიც, ნუთუ ვინმეს ხელს აძლევს?

ნაცნობ-მეგობრებს ტელეფონით შევეხმიანე, ვთხოვე გავერკვიე თუ რა მოხდა თბილისში. საშინელებანი გადმომცეს, დაჯერება არ მინდოდა, მაგრამ აი „ვზგლიადს" ვუყურე და... ცრემლი მომადგა თვალზე. ნუთუ შეიძლება ასეთი რამ ხდებოდეს დღეს, მეოცე საუკუნეში — ადამიანი მოწამლო გაზით, ან სიცოცხლე მოუსწრაფო ალესილი ნიჩაბით. ასეთ შემთხვევაში ადრე ჩვენი პრესა სტერეოტიპულად წერდა ხოლმე: „ეს „მათი" ზნე-ჩვეულებანია, ასე ხდება კაპიტალისტურ სამყაროში!" ვაი რომ ჩვენთანაც ყოფილა შესაძლებელი ასეთი რამ. შევკავშირდეთ, გამოვავლინოთ და ნუ დავინდობთ იმათ, ვისი მითითებითაც იმოქმედეს იმ სისხლიანი 9 აპრილის გამთენიისას.

**ბორის ლევინი,**
**სპორტული ჟურნალისტი, ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის" თანამშრომელი.**

**მოსკოვი.**

# ახალი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

## მაგიდის ჩოგბურთი

### სათანრიგო მოთხოვნები

**ვაჟები და ქალები**

**სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი** დაიკავოს:

I-VIII ადგილები ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო პირველობასა და თასზე ან I-IV ადგილები ევროპის ჩემპიონატში ერთეულთა, წყვილთა ან შერეულ თანრიგებში;

I-IV ადგილები მსოფლიო პირველობაზე ან I-III ადგილები ევროპის ჩემპიონატში ან I-II ადგილები ევროპულ თასებზე ან ევროპის ლიგის სუპერდივიზიონის გუნდურ პირველობებში;

I-VIII ადგილები ერთეულთა თანრიგში ან I-III ადგილები წყვილთა ან შერეულთა თანრიგში „ა" კატეგორიის საერთაშორისო შეჯიბრებაში;

I-IV ადგილები ერთეულთა ან I-II ადგილები წყვილთა ან შერეულთა თანრიგში საერთაშორისო შეჯიბრებებში სულ ცოტა 4 ან 6 სპორტსმენის მონაწილეობით, რომლებიც საკლასიფიკაციო ცხრილში მსოფლიოს 40 ან ევროპის 20 უძლიერესთა შორის არიან;

1 ადგილი ერთეულთა თანრიგში სსრ კავშირის ჩემპიონატში, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე სულ ცოტა რეიტინგით ქვეყნის ათეულში შემავალ 4 სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მონაწილეობით;

შევიდეს მსოფლიოს 40, ევროპის 20 უძლიერესთა საკლასიფიკაციო სიებში;

წლის განმავლობაში მოიპოვოს გამარჯვება მსოფლიოს 40, ევროპის 20 უძლიერესთა საკლასიფიკაციო სიაში შემავალ 4 სპორტსმენთან.

**სსრ კავშირის სპორტის ოსტატი**

მიაღწიოს რეიტინგის ჯამსა და მის წონას — 102, ამასთან რეიტინგი უნდა იყოს არანაკლებ 62;

დაიკავოს I-IV ადგილები ერთეულთა თანრიგში ან I-II ადგილები წყვილთა ან შერეულ თანრიგში ევროპის იუნიორთა პირველობაზე.

**სპორტის ოსტატობის კანდიდატი**

მონაწილეობდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც მოკავშირე რესპუბლიკების სპარტაკიადებზე ან გუნდურ ჩემპიონატებში ან სპორტსაზოგადოებებსა და უწყებათა გუნდურ ჩემპიონატებში დაიკავა I-V ადგილები.

წლის განმავლობაში სძლიოს სპორტის ოსტატობის 12 კანდიდატს ან 16 სპორტის ოსტატობის კანდიდატსა და I თანრიგოსანს (8-8 გამარჯვება).

**I თანრიგი**

წლის განმავლობაში მოიპოვოს პირველთანრიგოსან სპორტსმენთან 12 გამარჯვება ან I და II თანრიგოსნებთან 16 (8-8 გამარჯვება);

დაიკავოს I ადგილი წრიულ შეჯიბრებაში 12 მეორეთანრიგოსან სპორტსმენთა მონაწილეობით, რომელთაც დაამთავრეს შეჯიბრება.

**II თანრიგი**

წლის განმავლობაში მოიპოვოს მეორეთანრიგოსან სპორტსმენებთან 12 გამარჯვება ან მესამეთანრიგოსნებთან 16 (8-8 გამარჯვება).

**III თანრიგი**

წლის განმავლობაში მესამეთანრიგოსნებთან მოიპოვოს 4 გამარჯვება; წლის განმავლობაში ახალბედებთან მოიპოვოს 10 გამარჯვება;

**მოზარდთა I თანრიგი**

მოიპოვოს I ადგილი შეჯიბრებაში 12 მოზარდ მეორეთანრიგოსნის მონაწილეობით.

წლის განმავლობაში 8 მოზარდთა პირველთანრიგოსან და ამდენივე მოზარდ მეორეთანრიგოსან სპორტსმენთან 16 გამარჯვება ან მოზარდ პირველთანრიგოსანთან 12 გამარჯვება.

**მოზარდთა II თანრიგი**

მოიპოვოს 1 ადგილი მოზარდთა შეჯიბრებაში სულ ცოტა 12 შეჯიბრებადამთავრებულ სპორტსმენთა მონაწილეობით.

წლის განმავლობაში მოზარდ მეორეთანრიგოსან სპორტსმენებთან მოიპოვოს 4 გამარჯვება ან 10 გამარჯვება ახალბედებთან.

### სათანრიგო მოთხოვნათა შესრულების პირობები

1. რეიტინგებისა და მისი წონის გაანგარიშება სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის მიერ შემუშავებულ და სსრ კავშირის სპორტსახკომის სპორტული თამაშების სამმართველოს მიერ დამტკიცებული მეთოდიკით ხდება.

2. რეიტინგისა და მისი წონის გაანგარიშება ხდება ყველა შეჯიბრებებზე ტრადიციული ტურნირების ჩათვლით. მაგრამ სპორტის ოსტატობის სათანრიგო მოთხოვნები — სპორტის ოსტატობა ენიჭებათ არა უმცირეს რესპუბლიკური მასშტაბის ოფიციალურ საკალენდარო შეჯიბრებაში.

3. ერთიდაიგივე მეტოქესთან მოპოვებული გამარჯვებები ითვლება ერთ გამარჯვებად.

4. უკონკურსოდ მონაწილე სპორტსმენთან მოპოვებული გამარჯვება არ ითვლება.

5. ერთწლიანი ვადა, რომელიც მოცემულია სათანრიგო მოთხოვნების შესასრულებლად, აღირიცხება პირველი გამარჯვებიდან.

6. ექიმისა და მწვრთნელის მიერ მოზრდილთა შეჯიბრებაზე დაშვებული ჭაბუკები და გოგონები საერთო კლასიფიკაციას განეკუთვნებიან.

**თანრიგის დამოწმება**

თანრიგის დასამოწმებლად სავალდებულოა წლის განმავლობაში საკუთარი თანრიგის სხვადასხვა სპორტსმენთან 3 გამარჯვება.

## ჩოგბურთი

### სათანრიგო მოთხოვნები

**ვაჟები და ქალები**

**სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი** გავიდეს ოლიმპიური თამაშების მეოთხედფინალში;

უიმბლდონის ტურნირის, ინგლისის, აშშ-ს, საფრანგეთის ან კვალიფიკაციით მათი მსგავსი — ოფიციალური საერთაშორისო შეხვედრების კალენდარში ჩართული ტურნირების მეოთხედფინალებში.

დაიკავოს I-II ადგილები დევისის თასის ევროპის ზონალურ შეჯიბრებაზე, ამასთან მოიპოვოს 2 გამარჯვება;

I ადგილი ერთეულთა ან წყვილთა შეხვედრაში სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის მიერ განსაზღვრულ საერთაშორისო ტურნირებში;

I ადგილი 21 წლამდე ასაკის ევროპის იუნიორთა გუნდებს შორის. ამასთან მოიპოვოს 2 გამარჯვება;

I ადგილი ევროპის ვაჟთა, ქალთა და ზონალურ შეჯიბრებაში, ამასთან მოიპოვოს 2 გამარჯვება;

I-IV ადგილები ქალთა გუნდებს შორის მსოფლიო პირველობაზე (ფედერაციის თასი), ამასთან მოიპოვოს 2 გამარჯვება;

I ადგილი ერთეულთა თანრიგში სსრ კავშირის (ზამთრის ან ზაფხულის) პირად ჩემპიონატში წინა წელს 10 უძლიერესთა რიცხვში შემავალი სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის 4 სპორტის ოსტატის მონაწილეობით; შევიდეს პროფესიონალთა კლასიფიკაციის მსოფლიოს 150 უძლიერესთა შორის;

წლის განმავლობაში მსოფლიოს კლასიფიკაციის 150 უძლიერეს პროფესიონალ მოთამაშეებთან მოიპოვოს 3 გამარჯვება.

**სსრ კავშირის სპორტის ოსტატი** მოიპოვოს:

I-XVII ადგილები ერთეულთა ან I-IV ადგილები წყვილთა, შერეულ თანრიგებში სსრ კავშირის ზამთრის ან ზაფხულის ჩემპიონატებში;

I-V ადგილები იუნიორთა და 18 წლამდე მოზარდთა სსრ კავშირის პირველობაში;

I-V ადგილები დახურულ და ღია სარბიელზე 18 წლამდე ასაკის მოზარდთა საკავშირო პირველობაზე;

I ადგილი წყვილთა ან შერეულთა თანრიგში სსრ კავშირის პირად პირველობაზე ღია ან დახურულ სარბიელზე;

შევიდეს სსრ კავშირის 60 უძლიერეს ჩოგბურთელთა შორის (ვაჟები და ქალები) ან ერთეულთა და წყვილთა თანრიგში სსრ კავშირის 6 უძლიერეს ჭაბუკთა და გოგოებს შორის;

წლის განმავლობაში სსრ კავშირის 60 უძლიერეს ჩოგბურთელთა წარმომადგენლებთან მოიპოვოს 6 გამარჯვება.

სხვადასხვა ჩოგბურთელებთან, რომლებიც წინა წელს ერთეულ და წყვილთა თანრიგში, რესპუბლიკური მასშტაბისა და საკავშირო კალენდარულ გეგმაში შემავალ ღია ჩემპიონატებსა და საქალაქო პირველობების მიხედვით ქვეყნის 60 უძლიერესთა შორის არიან.

დაიკავოს I-IX ადგილები ერთეულთა და I-IV ადგილები წყვილთა თანრიგში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებისა და უწყებათა საკავშირო პირველობებზე, ღია საკავშირო შეჯიბრებებში წინა წლის სსრ კავშირის 60 უძლიერესთაგან სულ ცოტა 6 მოთამაშის მონაწილეობით და წლის განმავლობაში წინა წლის სსრ კავშირის 60 უძლიერესთაგან შეხვედრებში მოიპოვოს სულ ცოტა 3 გამარჯვება საკავშირო, რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში, ქალაქების ღია ჩემპიონატებსა და პირველობებში, რომლებიც შედის საკავშირო შეჯიბრებების გეგმაში;

I-V ადგილები ერთეულთა და I-II ადგილები წყვილთა თანრიგში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებისა და უწყებათა ჩემპიონატებში, ღია საკავშირო შეჯიბრებებში წინა წელს სსრ კავშირის 60 უძლიერესთაგან სულ მცირე 3 მოთამაშის მონაწილეობით და წლის განმავლობაში ერთიან გეგმაში ჩართულ საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში, ქალაქების ღია ჩემპიონატებსა და პირველობებზე, მოიპოვოს სულ ცოტა 3 გამარჯვება სსრ კავშირის 60 უძლიერესთა წარმომადგენლებთან, ან მსგავს ასპარეზობაში, იმავე პირობით დაიკავოს I-II ადგილები ერთეულთა თანრიგებში.

I-V ადგილები სსრ კავშირის ჩემპიონატში, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, ამასთან მოიპოვოს 2 გამარჯვება;

I-IV ადგილები 18 წლამდე მოზარდთა მსოფლიო ჩემპიონატის გუნდურ პირველობაში.

I-III ადგილები 18 წლამდე მოზარდთა ევროპის გუნდურ პირველობაზე, სსრ კავშირის იუნიორთა პირველობაზე, საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე, ამასთან მოიპოვოს 2 გამარჯვება;

I-III ადგილები სსრ კავშირის თასზე, ამასთან მოიპოვოს 2 გამარჯვება;

**სპორტის ოსტატობის კანდიდატი** მოიპოვოს:

XVIII-XXXI ადგილები ერთეულთა თანრიგში სსრ კავშირის ზამთრის ან ზაფხულის ჩემპიონატში.

I-VIII ადგილები წყვილთა თანრიგში სსრ კავშირის ზამთრის ან ზაფხულის ჩემპიონატში;

VI-IX ადგილები ერთეულთა თანრიგში სსრ კავშირის ზამთრის ან ზაფხულის ჩემპიონატებში 18 წლამდე ასაკის მოზარდთა შორის.

შევიდეს სსრ კავშირის უძლიერეს მოთამაშე (61-100) ვაჟთა და ქალთა შორის,

შევიდეს სსრ კავშირის 16 უძლიერეს მოზარდ ჩოგბურთელთა შორის; წლის განმავლობაში მოიპოვოს 3 გამარჯვება წინა წლის სსრ კავშირის 100 უძლიერეს სპორტსმენთა შორის.

**I თანრიგი**

წლის განმავლობაში საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაში სძლიოს 2 პირველთანრიგოსან სხვადასხვა ჩოგბურთელს ან 4 მეორეთანრიგოსანს.

იმავე მასშტაბის შეჯიბრებაში მოიპოვოს 1 ადგილი ასპარეზობაში 8 მეორეთანრიგოსანი ჩოგბურთელის მონაწილეობით.

**II თანრიგი**

წლის განმავლობაში სძლიოს ორი სხვადასხვა მწვრთნელის 2 მეორეთანრიგოსან და 4 მესამეთანრიგოსან მოწაფეს.

გაიმარჯვოს შეჯიბრებაში, რომელშიც გამოდიოდა სულ ცოტა 8 მესამეთანრიგოსანი;

**III თანრიგი**

წლის განმავლობაში სძლიოს ორი სხვადასხვა მწვრთნელის 2 მესამეთანრიგოსან და 4 უთანრიგო მოწაფეს.

16 უთანრიგო ჩოგბურთელის მონაწილეობით ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში ოლიმპიური სისტემის შეჯიბრებაში ან 6 მონაწილით წრიული სისტემის ტურნირში დაიკავოს I ადგილი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82.

---

პასუხი „ლელოს" — კვლევითობა

# „თავის მართლებას პრობლემების გადაჭრის გზების ძიება სჯობს"

საქართველოს კპ აბაშის რაიკომი გაცნობებთ, რომ გაზეთ „ლელოს" 1989 წლის 2 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში „თავის მართლებას პრობლემების გადაჭრის გზების ძიება სჯობს" მოყვანილი ფაქტების შესახებ 1989 წლის 30 მარტს იმსჯელა საქართველოს კპ აბაშის რაიკომის ბიურომ. გაზეთ „ლელოს" რედაქციის რეაგირება აღნიშნულ საკითხებზე არის სწორი და ობიექტური.

რაიკომის ბიურომ დაავალა რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგეს ცანავას, უმოკლეს დროში მოამზადოს აბაშის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლისა და აბაშისპირის არასრული საშუალო სკოლის სპორტული დარბაზების რემონტის ჩატარებისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია. კონკრეტული დახმარება აღმოუჩინოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას, აბაშისპირისა და საგვაზაოს არასრულ საშუალო სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნის საქმეში. სისტემატურად იზრუნოს სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად და აღჭურვოს ისინი სათანადო ინვენტარითა და მოწყობილობებით.

ბიურომ დაავალა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. გაბოკიძეს, ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების თავმჯდომარეს უ. მიმინოშვილს გაატარონ ღონისძიებანი, რათა უმოკლეს დროში დააკომპლექტონ რაიონის ფიზკულტურის კოლექტივები კვალიფიციური მეთოდისტებით და გარდაქმნან მუშაობა ადგილებზე.

საქართველოს ალკკ აბაშის რაიკომის პირველ მდივანს ნ. ჭანტურიას დაევალა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რაიონში მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საკითხებს, მეტი ინიციატივა გამოიჩინოს სპორტული მოედნებისა და დარბაზების კეთილმოწყობის ორგანიზაციის საქმეში.

ბიურომ აბაშის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორს ვ. ლიპარტიას სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის გამოუცხადა საყვედური, აბაშისპირის და საგვაზაოს არასრული საშუალო სკოლის დირექტორები ჯ. ცომაია და ბ. თოფურია მკაცრად არიან გაფრთხილებულნი. მათვე დაევალათ განიხილონ ფიზკულტურის მასწავლებლების გ. ბარკალაიას და რ. კაკაურიძის საკითხი და მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებებისათვის მათ მიმართ გაატარონ შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებანი.

პარტიის რაიონული კომიტეტი, რაისაბჭოს აღმასკომი, პირველადი პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები მომავალშიც სერიოზულ ყურადღებას დაუთმობენ რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გარდაქმნის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხებს.

**ზურაბ ზუხავა,**
საქართველოს კპ აბაშის რაიკომის პირველი მდივანი.

---




# კარი გაიჯახუნა?!

შარშან, 17 იანვარს, „ლელოში" სათაურით „სათვალავში გვეთვლება, საქმეში არა" გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელიც ამხელდა საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სამთო-სათხილამურო სპორტული სკოლის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ამ წერილით გამოიხატა გაზეთის პოზიცია და, სხვათა შორის, საზოგადოებრივი აზრიც იმის შესახებ, რომ სკოლის საქმიანობა მოითხოვს რადიკალურ გარდაქმნას. რედაქცია პასუხს მოელოდა, მაგრამ გავიდა ერთი თვე, ორი, სამი... პასუხი კი არ ჩანს. სამაგიეროდ, სკოლის დირექტორი გ. მიქაბერიძე, რედაქციაში გაუთავებელი რეკვით სხვადასხვა დროს, დაბეჯითებით მოითხოვდა წერილის ავტორთან შეხვედრას, თითქოსდა ფაქტების დაზუსტების მიზნით. ეს შეხვედრა არ მოხერხდა და, სიმართლე უნდა ითქვას, არც გვქონია ამის დიდი სურვილი. რისთვის, რა საჭირო იყო ახეთი შეხვედრა? არსებობს წესი: გამოქვეყნებულ წერილზე უნდა გაიგზავნოს წერილობითი პასუხი და ამისათვის არც რედაქციასთან, არც ავტორთან არავითარი დამატებითი შეხვედრა არაა მიზანშეწონილი და სასურველი. სამწუხაროდ, არც სპორტსკოლამ, არც მისმა ზემდგომმა ხელმძღვანელმა ორგანომ რედაქციას, როგორც ვთქვით, პასუხი არ მისცა. მეტიც, ირწმუნა რა, რომ შეიძლება არასასურველ კრიტიკას წაუყრუო კიდეც, ...გ. მიქაბერიძე თურმე მარჯვე დროს და მომენტს ეძებდა „გალმა შესაძლებლად".

ამ დღეებში გამართულ საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის სხდომაზე, სადაც სპორტის ზამთრის სახეობების საკითხს განიხილავდნენ, ამ სკოლის უნაყოფო მუშაობასაც შეეხნენ. გ. მიქაბერიძეს პირდაპირ განუცხადეს, რომ სკოლა 10 წელია უნაყოფოდ მუშაობს და შეიძლება დაიხუროს კიდეც. დირექტორმა არც აცია, არც აცხელა და უყოვლად უტიფრად განაცხადა: „დასახური ჩემი სკოლა კი არა, გაზეთი „ლელოა", რომელიც არასწორ წერილს აქვეყნებს!".

კოლეგიის შემდეგ გვითხრეს: დირექტორი ახლა რას იტყვის, მისთვის სულ ერთია, სამსახურიდან მაინც მიდის. რა, „კარი გაიჯახუნა?"... თუ ახეა, უფრო საწყენია და, დაგვერწმუნებით, შეურაცხმყოფელი მისთვის.

ან ახე, ...სჯობს გაზეთის კრიტიკულ გამოსვლას ოფიციალურად არ უპასუხო, სამაგიეროდ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაუვიწყარი

**ვიტალი დარასელია — საფეხბურთო სამყაროს უზომო სიხარული და ასევე უზომო ტკივილი. ის მაინც სულ სხვა იყო, სულ სხვა, როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება. ეს ყველამ კარგად იცოდა და ამიტომაც უყვარდათ ასე უზომოდ თაყვანისმცემლებს. მაგრამ თანაგუნდელებზე და იმ ადამიანებზე უკეთ, ვისთანაც მას სიახლოვე ჰქონდა, ცხადია, არავინ იცოდა, ვინ იყო ვიტალი დარასელია — ფეხბურთელი და პიროვნება, პიროვნება და ფეხბურთელი. ამიტომ ეს ნარკვევი თანაგუნდელებისა და ახლობლების მოგონებებზეა აგებული.**

**№ 1. ოთარ გაბელია:**

როგორი ძნელი ყოფილა უშენობა. გახსოვს 1972 წელი? მაშინ სოხუმის „დინამოში" ვთამაშობდი და მწვრთნელმა იური გრამატიკოპულომ ჩამოგიყვანა პატარა ბიჭი ოჩამჩირიდან. სულ 15-20 წუთს ითამაშე, მაგრამ ისეთი ფინტები ჩაატარე, ყველა გაოცებული დარჩა. მაშინ ერთი კაფანდარა ბიჭი იყავი, შემდეგ და შემდეგ დიდი შრომისმოყვარეობის ხარჯზე იქეცი ფიზიკურად ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენად.

უამრავი დადებითი თვისება გქონდა, როგორც პიროვნებას. სიმართლე იყო შენი ცხოვრების პრინციპი. სიმართლის დაცვა საკუთარი ნერვების ფასად თუ დაგიჯდებოდა მნიშვნელობას არ აძლევდი, თან ყველაფერს ისეთი ტაქტით აკეთებდი, კეთილი შურით მშურდა. გაჭირვებულს რომ დაეხმარებოდი, შენთვის ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობდა. შუაღამისასაც შეგვეძლო, შეგვეწუხებინე. არ შეიმჩნევდი უდროობას. დაუყვედრებლად გამოგვყვებოდი ყველგან.

და კიდევ, საოცრად ბავშვური იყავი, მიამიტი.

**№ 2. თამაზ კოსტავა:**

— 13 რიცხვი ჩემთვის ბედნიერიაო, — ამბობდი ხოლმე, — ოჩამჩირეში 13 ნომერ სახლში ვცხოვრობ, ბიჭი 13 რიცხვში შემეძინა, 13 მაისს გოლი გავიტანეო. არავის ეგონა, 13 რიცხვი თუ ასე გაგწირავდა. 13 დღის შემდეგ გიპოვეთ. რა კეთილი იყავი, სამართლიანი, მიმტევებელი, კრისტალური, გაბედული, სიმართლის მოყვარული.

მენისკი რომ გამირთულდა, ჩემი გუნდიდან წასვლის საკითხი დაისვა, ეს რომ გაიგე, შეხვედი მწვრთნელთან და მოურიდებლად უთხარი: ესე იგი, დღეს თუ ხვალ, მეც რომ ამტკივდეს ფეხი, ასე უგულოდ უნდა გამიშვა გუნდიდანო?!

ნეტავ, მხოლოდ ფეხი გტკენოდა და...

**№ 3 ალექსანდრე ჩივაძე:**

ბავშვი რომ დაიბადება სუფთა, კრიალა თვალებით და სპეტაკი გულით — ასეთი ბავშვი იყავი 25 წლის ასაკშიც. მიმნდობი. მიამიტი, უაღრესად ალალი. ახლა მიჭირს საუბარი. შენ შინაგანად ლიდერი იყავი. ეს, ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ობლობაში გაიზარდე და პირველი იყავი ოჯახიდან, ვინც პატარაობიდან დაიწყე დედაზე და და-ძმაზე ზრუნვა.

მახსენდება შენი პირველი მოსვლა გუნდში. პირველი ვარჯიში. საერთოდ, ახალმოსულებს ერთგვარი კომპლექსი აქვთ ავტორიტეტების წინაშე. პირველ დღეს მაინც მორიდებით არიან. შენ კი გვარებს არ შეუშინებიხარ, პირდაპირ შეტევაზე გადახვედი. იმავე წელს, 1975 წელს დაიწყე შემადგენლობაში თამაში. ეს იყო იშვიათი შემთხვევა, როცა ახალბედამ აკლიმატიზაციისა და ადაპტაციის გარეშე თქვი შენი სიტყვა. ამითაც განსხვავდებოდი სხვებისგან. შენს სახელთან არის დაკავშირებული ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. შენი გოლი „კარლ ცაისთან" კი ზემომაღლებული ნიჭით გატანილი გოლი იყო. ეს სიხარული ხომ ჩვენც გვაჩუქე. შენმა გოლმა მთელი საქართველო, მტერი თუ მოყვარე ერთ მუშტად შეკრა 13 მაისის ღამეს. შენმა წასვლამ კი დაგვქსაქსა, ველარაფრით ველარ ავეწყვეთ.

**№ 4. ნოდარ ხიზანიშვილი:**

შენ ერთი ოცნება გქონდა, რომელიც განუხორციელებელი დაგრჩა. იტყოდი ხოლმე: წლები გავა, ფეხბურთს თავს დავანებებთ, ჩვენს გზას მოვძებნით და დავეკარგებით ერთმანეთს. მე კი არ მინდა, ჩვენი ერთად ყოფნა ასე დაიკარგოსო. მე ვიქნები თაოსანი იმისა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც შევხვდეთ ერთმანეთს ჩვენი მეუღლეებით, შვილებით და ის სითბო, ის ყურადღება, რასაც ახლა ვერ ვამჟღავნებთ ჩვენი მოუცლელობის გამო, შემდეგ ვაჩუქოთ ერთმანეთსო.

სამწუხაროდ, ჩვენ შევიკრიბებით, მაგრამ შენ აღარ იქნები ჩვენს შორის.

გახსოვს თბილისში ფეხბურთის ბუმი რომ იდგა. მოდიოდა მთელი საქართველო მატჩზე დასასწრებად. ჩვენს ახლობლებს და ნათესავებს ჩვენი იმედი ჰქონდათ. ზღვა ხალხს ბილეთები არ ჰყოფნიდა. ამიტომ ცოდვა გამხელილი სჯობს, ხშირად ვიმალებოდით ხოლმე... შენს გარდა. შენ ყველაფერს ასწრებდი, ყველაფერს ახერხებდი და ეს ისე ლამაზად გამოგდიოდა... შენ შეგეძლო იმ დაძაბულ დღეებში გამოგენახა დრო და წასულიყავი კინოში, თეატრში, ქალაქგარეთ. თავისუფალ დროს კი ისევ ბურთთან ატარებდი. ყველანი რომ ვივარჯიშებდით, ცოტას დაისვენებდი და კვლავ ბურთს მიუბრუნდებოდი. გინდოდა ბოლომდე გაგემჟღავნებინა ბურთისთვის შენი სიყვარული.

გაჭირვებაში იზრდებოდი, მაგრამ მთელი ოჩამჩირე ცდილობდა შენთვის ეს გაჭირვება არ ეგრძნობინებინა. ამიტომ გიყვარდა ასე ძლიერ ოჩამჩირელები.

**№ 5. გია თავაძე:**

ჩვენს დაძაბულ სპორტულ ცხოვრებაში ყოველთვის პოულობდი დროს განტვირთვისათვის. ამოარჩევდი სადმე კარგ ადგილს და გვეტყოდი ლამაზი ბუნებაა, წავიდეთო და ჩვენც მოვდიოდით. ერთი საყვარელი ადგილი გქონდა ამორჩეული. გლდანისკენ რომ არის, კაპიტნის წყარო. იქ მიგყავდით ხოლმე. მარტო არსად წახვიდოდი, მარტოობას ვერ იტანდი. შენი სახით ქართულმა ფეხბურთმა ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი დაკარგა.

**№ 6. ვიტალი დარასელია...**

**№ 7. ზაურ სვანაძე:**

ჩემთვის ყველაფერი იყავი — საუკეთესო მეგობარი, მრჩეველი, სიკეთით სავსე პიროვნება. განსაკუთრებით ახალგაზრდებს გვქომაგობდი.

რა დამავიწყებს, პირველ თამაშებზე რომ ვღელავდი ხოლმე, თამაშის წინ შემოხვიდოდი და მამხნევებდი. შენს სიტყვას გუნდში ფასი ჰქონდა...

**№ 8. თენგიზ სულაქველიძე:**

იმ დროს „დინამოში" თითქმის ერთი ბედის ბიჭებმა მოვიყარეთ თავი. ზოგს მამა არ გვყავდა, ზოგს — ჰყავდა, მაგრამ მაინც უჭირდა. ჩვენს შორის კი მაინც შენ გამოირჩეოდი. შენი დაუღალავი შრომით ბევრ რამეს მიაღწიე. თბილისში ახალმიღებული ბინა შენი გემოვნებით მოაწყვე. ახალმოსახლეობას რამდენიმე დღე აკლდა, რომ...

დღევანდელი დღით გიყვარდა ცხოვრება, ალბათ გრძნობდი მოკლე გზა რომ გქონდა, მე რაც დღეს მაკმაყოფილებს, ის მქონდეს, დღეის სამყოფი საჭმელი, დღეის სამყოფი სასმელი, ერთი დღის სამყოფი სიხარული, სიყვარული, ბედნიერება — იტყოდი ხოლმე. ახალგაზრდების ფარი იყავი, გიყვარდა მათთვის მხარში ამოდგომა.

დღეს რომ ჩვენს გვერდით ყოფილიყავი, ახალგაზრდებს უკეთესი მასწავლებელი არ დასჭირდებოდათ.

**№ 9. ვლადიმერ გუცაევი:**

შენზე ხშირად მეკითხებიან, რატომ უყვარდათ მეგობრებსო. იმიტომ, რომ შენზე დაყრდნობა შეიძლებოდა. სანდო კაცი იყავი, ულალატო.

ახლა იმედად შენი პატარა ვიტალიღა დაგვრჩენია.

**№ 10. დავით ყიფიანი:**

საოცარი კაცი იყავი, რაღაც სხვანაირი. არავის ჰგავდი.

როგორც ფეხბურთელს, ერთი კარგი თვისება გქონდა. შენი ინდივიდუალური ოსტატობით შეგეძლო მთელი მატჩის ბედი გადაგეწყვიტა. იმავე „კარლ ცაისთან" ფინალურ მატჩში გატანილი ბრწყინვალე გოლი მეტყველებს ამ ფაქტზე.. ვაი, რომ ოცდახუთი წლის ასაკში მიგვატოვე, ზურგი შეგვაქციე. შენ კიდევ ბევრი სარგებლობის მოტანა შეგეძლო. იმ ცამეტი დღის მანძილზე, ვიდრე დაგეძებდით, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი როგორ უყვარდი ხალხს. ლამის მთელმა საქართველომ იმ დღეებში უბისაში მოიყარა თავი. 1983 წლის მოსვლას ცრემლებით შევხვდით.

**№ 11. რამაზ შენგელია:**

1975 წელს სინგაპურში, ინდონეზიასა და ტაილანდში გვქონდა ტურნე ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად. ეს ჩვენი პირველი შეხვედრა იყო. შეგატყვე ვაჟკაცობა, სამართლიანობა და შემიყვარდი, გულით შემიყვარდი.

**ლია ბაბუნაშვილი:**

ესპანეთის ჩემპიონატის დროს გაგიცანი ახლოს. ნაკრებში მიწვეული ფეხბურთელების მეუღლეებს უფლება მოგვცეს ქმრების გვერდით ვყოფილიყავით. რა თქმა უნდა, შენც ჩვენთან ერთად იყავი მარინესთან ერთად.

პირველი, რითაც შენ ჩემს მეხსიერებაში დარჩი, შენი უდიდესი სითბო იყო, რომელსაც ყველას უწილადებდი.

შვილების სიყვარულით გქონდა გული სავსე, დღე არ გავიდოდა, არ გეხსენებინა შენი ბარტყები...

**დავით მუჯირი:**

1971 წელი იყო. „ტყავის ბურთის" ფინალურ ტურნირზე თბილისის ნაკრები ოჩამჩირის ნაკრებს შევხვდით. 1:0 მოვიგეთ. იმ თამაშში მე სწორედ შენი მეურვეობა მქონდა დაკისრებული. რას გაგიმკლავდებოდი, ქარივით სწრაფი იყავი. თუმცა ბოლოს გულში ჩადება არ იცოდი, ამ მატჩს ხშირად მახსენებდი, მსაჯი დაგეხმარათ, თორემ ჩვენ მოვიგებდითო. შენ თვითონ კი ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელის პრიზი დაიმსახურე.

მინდორზე პარტნიორები ვიყავით, მინდვრის გარეთ — მეგობრები. შენ მარცხენა ნახევარმცველი იყავი, მე — მცველი. ჩემთვის შენს გვერდით თამაშიც კი უდიდესი სიამოვნება იყო.



ბოლოს დიღმის ბაზაზე შეგხვდი. დეკემბერი იყო. შვებულებაში ვიყავით და სახლში დამირეკე, თენგიზ ჩანტლაძეა თავისი ბიჭებით მოსული და მოდი ვეთამაშოთ, ვანახოთ რა ბიჭები ვართო. რა თქმა უნდა, მოვედი. უკანასკნელად ვისიამოვნე შენი თამაშით.

**ვახტანგ ქორიძე:**

როგორც განუყრელ მეგობრებს, ბინები ერთ კორპუსში მოგვცეს, შენი ბინა ზუსტად ჩემი ბინის თავზე იყო. გახსოვს, სანამ რემონტს დავიწყებდით, მეხუმრებოდი: „შენნაირი კარჩაკეტილი კაცი არ მინახავს, რა იქნება შენგან ჭერი ავჭრათ და ჩემთან ამოსასვლელი გავაკეთოთ, როცა შენ გეყოლება სტუმრები და ადგილი არ გეყოფა, ჩემთან დავსვათ, მე მეყოლება და შენ გესტუმრებითო. აი, ასეთი კაცი დარჩი ჩემთვის. კეთილი, გულღია, ნეტავი მართლა გამეჭრა ჭერი...

**გრიგოლ ცაავა:**

ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, გუნდში რომ მოვედი. მოვედი და ისეთი კორიფეები დამხვდნენ, გვარების გაგონებისაც კი შემეშინდა. ვიფიქრე, ვაითუ... ეს „ვაითუ" შენ გადამატანინე. არ არსებობდა შენთვის ასაკობრივი ზღვარი.

პირველივე შეხვედრაზე მიხვდებოდა ადამიანი, ვინ იყავი, რა ბაჯაღლო გული გიძგერდა მკერდში.

ახლა ძალიან მიჭირს შენზე ლაპარაკი იმიტომ, რომ... იმდენად მიყვარდი და იმდენად არის ეს სიყვარული ჩემში, სიტყვით გადმოცემა მიჭირს. თან ძალიან, ძალიან მომენატრე... ბაზასთან ახლოს ცხოვრობდი ერთოთახიანში. ხშირად მოგყავდა პატარა ვიტალი და ავარჯიშებდი. შენზე უკეთესი მწვრთნელი რად უნდოდა, გიხაროდა, ვაჟის მამა რომ იყავი. ნეტავ, ჩემი ვიტალიც ფეხბურთელი გახდებოდესო. ეს იყო ბოლო ნატვრა...

# მატჩი გაიმართება თბილისში

**მცდარი** გამოდგა რესპუბლიკურ პრესაში დაბეჭდილი და საქართველოს ტელევიზიით გადმოცემული ცნობა, რომ ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრა თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკს" შორის გადატანილია 29 მაისისათვის მოსკოვში. საქინფორმის კორესპონდენტმა ცნობის დაზუსტება სთხოვა თბილისის „დინამოს" გუნდის უფროსს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვლადიმერ გუცაევს.

— გამოქვეყნებული ცნობა ნაჩქარევი იყო, — თქვა მან. — სინამდვილეში საქმე სხვაგვარად გახლავთ. ამ დღეებში მთელი ჩვენი რესპუბლიკა ღრმა მწუხარებით არის მოცული 9 აპრილს თბილისში მთავრობის სახლის წინ დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთა, და აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპული ადამიანების გამო. ბუნებრივია, მთელ ხალხთან ერთად ამ მწუხარებას ჩვენი გუნდიც იზიარებს. ჩვენ ვთვლით, რომ მორალური უფლება არა გვაქვს გავიდეთ ფეხბურთის მინდორზე, სანამ ჯერ კიდევ არ მოშუშებულა ჩვენი ხალხისათვის მოყენებული ჭრილობები.

ჩვენ სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს და მოსკოვის „სპარტაკის" ხელმძღვანელობას მივმართეთ წინადადებით იმ მატჩის გადატანის შესახებ, რომელიც თბილისში უნდა გამართულიყო 28 აპრილს. მეტოქეებმა გვაცნობეს, რომ მზად არიან გვიმასპინძლონ თავის მოედანზე 29 აპრილს. ეს არანაირად არ გვაძლევდა ხელს, ვინაიდან ჩვენი აზრით ერთადერთი მატჩი, რომელიც სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალისტს გაარკვევს, იმ ქალაქში უნდა მოეწყოს, სადაც დაგეგმილი იყო. ჩვენ მატჩის სხვა თარიღიც შემოგვთავაზეს — 8 მაისს თბილისში. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ორივე გუნდი ვერ შეძლებდა სხვადასხვა საკავშირო ნაკრებში გაწვეული რამდენიმე ფეხბურთელის გამოყვანას, ამასთან თუ „სპარტაკში" შმაროვის, მოსტოვოისა და კულკოვის არყოფნა მაინცდამაინც დიდ გავლენას არ მოახდენდა ამ კოლექტივის თამაშზე, ჩვენ მოგვიწევდა დაცვის სამი ძირითადი მოთამაშის — კეტაშვილის, ჯიშკარიანისა და ცხადაძის გარეშე გამოსვლა, რომლებიც გაწვეული არიან სსრ კავშირის პირველ და ახალგაზრდულ ნაკრებში თურქ ფეხბურთელებთან ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობის მისაღებად — ეს მატჩები 9 და 10 მაისს გაიმართება. ეს კი, დამეთანხმებით, საგრძნობი დანაკლისი იქნებოდა „დინამოსთვის".

ჩვენი მხრივ, „სპარტაკს" შევთავაზეთ მეოთხედფინალური მატჩი მოგვეწყო თბილისში 17 მაისს, ვინაიდან ეს ერთადერთი უახლოესი „სარკმელია" საფეხბურთო კალენდარში. ასეთ შემთხვევაში 19 მაისისათვის დანიშნული ერთ-ერთი ნახევარფინალური შეხვედრა ჩვენს შორის გამარჯვებული გუნდის მონაწილეობით 20 მაისს გაიმართება. ჩვენი ვარიანტი ყველა დონეზე იქნა მიღებული და დამტკიცებული და მატჩი „სპარტაკთან" 17 მაისს მოეწყობა თბილისის სტადიონზე. გუნდის გადაწყვეტილებით მისგან მიღებული სახსრები გადაირიცხება „9 აპრილის" საქველმოქმედო ფონდში.

ვ. გუცაევმა გვაცნობა აგრეთვე, რომ თბილისის დინამოელებმა გადაწყვიტეს კიდევ ერთი საქველმოქმედო მატჩის ორგანიზება რესპუბლიკის ნებისმიერ სხვა რეგიონში და მისი შემოსავლის გადარიცხვა აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

(საქინფორმი).

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** ვოლგოგრადში გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის X ტურის შეხვედრა ადგილობრივ „როტორსა" და ლენინგრადის „ზენიტს" შორის.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:1 ვოლგოგრადელთა სასარგებლოდ.

## სსრ კავშირის თასზე

**გუშინწინ** შედგა სსრ კავშირის თასის მეოთხედფინალური მატჩები:

„დნეპრი" — „დინამო" მნ. 1:0

„ტორპედო" — „შახტიორი" 4:3

„დინამო" ქ. — „ტორპედო" (ქუთაისი) 3:0

## ვ. ლობანოვსკი:

## „ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული არაა"

**სსრ კავშირისა** და გდრ-ის ფეხბურთელთა გუნდების 26 აპრილის შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები შეეკითხნენ სსრ კავშირის ნაკრებისა და კიევის „დინამოს" მთავარ მწვრთნელს ვ. ლობანოვსკის, მართალია თუ არა ხმები იმის თაობაზე, რომ მან შესაძლოა კონტრაქტს მოაწეროს ხელი უცხოეთის ერთ-ერთ პროფესიულ კლუბთან.

ვ. ლობანოვსკიმ განაცხადა, რომ ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული არაა, მაგრამ ვინაიდან მისი არაოფიციალური ხელშეკრულება სსრ კავშირის ნაკრებთან მუშაობის თაობაზე დადებულია 1990 წლის ზაფხულამდე, მანამდე ლაპარაკს კონტრაქტის დადების თაობაზე აზრი არა აქვს.



სსრ კავშირის

ჩემპიონატი კალათბურთში

# სამართალმა პური ჭამა

კიევის „ბუდიველნიკს“ (ყოფილი „სტროიტელი“) ორსაათიანი ცხარე დებატებისა და კენჭისყრის შემდეგ კალათბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მიენიჭა. უკრაინელთა კანდიდატურას მხარი დაუჭირა კალათბურთელთა საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის თერთმეტმა წევრმა. კენჭისყრაში მონაწილე ცხრა სპეციალისტი კი იმის მომხრე იყო, რომ მეორე შეხვედრის შედეგი გაეუქმებინათ და გადათამაშება მოეწყოთ.

სხვათა შორის, ეს წინადადება შემოიტანა „ჟალგირისის“ უფროსმა მწვრთნელმა ვლადას გარასტასმა, რომელმაც, ამასთან, აღნიშნა, რომ ვოლკოვის მიერ უკანასკნელ წამზე ჩაგდებული ბურთი მოსკოველ არბიტრებს მიხეილ გრიგორიევსა და მიხეილ დავიდოვს უნდა ჩაეთვალათ. წინა მატჩში მთავარი მსაჯი მოედანზე მიხეილ დავიდოვი გახლდათ, განმეორებით შეხვედრაში კი გრიგორიევი, ამიტომ გადამწყვეტი სიტყვის უფლება სწორედ მას ჰქონდა.

მიხეილ გრიგორიევმა თავდაპირველად ჩათვალა კიდეც ეს საბედისწერო ტყორცნა. მაგრამ ენით აუწერელი ხმაურის გამო მას მატჩის დამთავრების სიგნალი არ გაუგია. ასეთ დროს მსაჯი ვალდებულია შეჯიბრების მდივანსა და დროის აღმრიცხველს მოეთათბიროს. გრიგორიევი ასეც მოიქცა. სამდივნოს წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ ტყორცნა შესრულდა მას შემდეგ, რაც დრო დამთავრდა. ამიტომ დაინიშნა ამ მატჩში დამატებითი დრო, რომელშიც წარმატებას კაუნასელმა კალათბურთელებმა მიაღწიეს.

მაგრამ ჩვენ, ტელემაყურებლები, ამ შემთხვევაში უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, ვინაიდან ეკრანზე ნათლად სჩანდა, რომ თამაშისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა მაშინ, როცა ბურთი კალათის თავზე იმყოფებოდა. ასეა თუ ისე „ბუდიველნიკს“ გამარჯვება ჩაეთვალა (90:87) და უკრაინის გუნდი ქვეყნის ჩემპიონი გახდა პირველად. ამაზეა ნათქვამი, სამართალმა პური ჭამა.

**28 აპრილს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VI ტურის შეხვედრები.

**„დინამო“ (ბათუმი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 1:1 (0:1).**

**ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 28 აპრილი.**

**„დინამო“: ბალაძე, გოგიტიძე, მ. მახარაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ჯობაძე, კიკლიაშვილი (ქვანია), კაკილაშვილი (უგრეხელიძე), ბიგვავა, მიქაშავიძე (ათუაშვილი), მაისურაძე.**

**ასკ „კარპატი“: ბერესკი, ბენკო, ბუნიაკი, კოგუტი, ზუბი, იურჩენკო (მოკრიცკი), გეი, კუხლევსკი, ენეი, ბონდარჩუკი, ლენდელი.**

**მსაჯი ნ. რუბცევი (დონეცკი).**

**გააფრთხილეს კოგუტი, ბონდარჩუკი.**

ბათუმის დინამოელებმა ვერ იქნა და ვერ შეძლეს თავიანთ მინდორზე გამარჯვება. ბათუმელების ეს შეხვედრაც ლვოვის ასკ „კარპატისთან“ ისევ ფრედ დამთავრდა, არადა სახლში ჩატარებულ მატჩებში დინამოელებს ქულათა მაქსიმუმის აღებაც შეეძლოთ.

ბოლო შეხვედრაზე მაყურებელი საკმაოდ მოვიდა თავისი გუნდის საქომაგოდ, იმის იმედითაც, რომ, იქნებ, მათი მხარდაჭერით გატეხილიყო ეს „ნავსი“.

ლვოველმა ფეხბურთელებმა ძალზე ცუდად დაიწყეს წლევანდელი სეზონი, დინამოელებთან შეხვედრამდე მათ ხუთ ტურში არც ერთი ქულა არ ჰქონდათ მოპოვებული, ამიტომაც უკან დასახევი გზა აღარა ჰქონდათ. პირველი სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან უკვე მე-3 წუთზე შეიქმნა და

## I ლიგა

მეკარე ბალაძემ ოსტატურად მოიგერია ენეის ძლიერი დარტყმა. ამის შემდეგ დინამოელებს სრული სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ თავდამსხმელთა გადამწყვეტი დარტყმები არაზუსტი იყო.

მე-40 წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს პირველმა ენეიმ მიუსწრო და ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში — 1:0. მეორე ნახევარში მინდორზე გამოსულმა ქვანიამ და უგრეხელიძემ გარდატეხა შეიტანეს თამაშში, ბათუმელთა შეტევები უფრო სახიფათო გახდა. 81-ე წუთზე კარგად გათამაშებული საჯარიმო ქვანიამ ეფექტური დარტყმით დააგვირგვინა — 1:1. დარჩენილ წუთებში ბათუმელთა გამუდმებულ შტურმს შედეგი აღარ მოჰყოლია.

**ლევან ქავთარაძე,**
**(ტელეფონით „ლელოს“ საკ. კორ.)**

განვლილი ტურის ცენტრალური მატჩი შედგა ალმა-ათაში, სადაც „კაირატმა“ მიიღო გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი ცსკა. თამაში მოიგეს ალმაათელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1, ეს ცსკა-ს პირველი მარცხია მიმდინარე გათამაშებაში და პირველი გაშვებული გოლი.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:1, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 3:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:1, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 3:0, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 2:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 0:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 5 | 0 | 1 | 16-2 | 10 |
| „ნეფთჩი“ | 6 | 4 | 1 | 1 | 8-5 | 9 |
| „ფაკელი“ | 6 | 3 | 3 | 0 | 4-0 | 9 |
| „ნისტრუ“ | 6 | 4 | 0 | 2 | 7-6 | 8 |
| „კაირატი“ | 6 | 3 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| „მეტალურგი“ | 6 | 3 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| „ყუბანი“ | 6 | 3 | 1 | 2 | 5-8 | 7 |
| „სპარტაკი“ | 6 | 2 | 3 | 1 | 5-3 | 7 |
| „დინ.“ სტ. | 5 | 2 | 3 | 0 | 3-1 | 7 |
| ასკ რ. | 6 | 3 | 0 | 3 | 10-8 | 6 |
| „ფახთაქორი“ | 6 | 2 | 2 | 2 | 5-3 | 6 |
| „კოტაიკი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 6-2 | 5 |
| „ტავრია“ | 5 | 1 | 3 | 1 | 5-6 | 5 |
| „დინამო“ ბ. | 5 | 1 | 3 | 1 | 3-7 | 5 |
| „როსტსელმ.“ | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 4 |
| „გურია“ | 4 | 1 | 1 | 2 | 6-5 | 3 |
| „გეოლოგი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 2-2 | 3 |
| „შინიკი“ | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 3 |
| „დაუგავა“ | 6 | 0 | 3 | 3 | 3-8 | 3 |
| „ტორპედო“ | 4 | 1 | 0 | 3 | 4-10 | 2 |
| „კუზბასი“ | 6 | 0 | 2 | 4 | 1-7 | 2 |
| ასკ „კარპატი“ | 6 | 0 | 1 | 5 | 3-10 | 1 |

• • •

**I ლიგის** V ტურის მატჩში ზაპოროჟიეს „მეტალურგსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის, რომელიც ქუთაისელებმა მოიგეს ანგარიშით 2:1, ქუთაისელთაგან ბურთები გაიტანეს თორლაშვილმა და მეგრელაძემ. გააფრთხილეს ტორპედოელი ქორიძე.

**სტავროპოლის** „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ შეხვედრაში (1:1), ლანჩხუთელთაგან მასპინძელთა კარში ბურთი გაიტანა გურულმა.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## II ლიგა

**გაიმართა** II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, VI ტურის შეხვედრები: „ხაზარი“ (სუმგაითი) — „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) 2:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 0:1, „გოიაზანი“ (ყაზახი) — „ტორპედო“ (ვოლჟსკი) 2:1, „დინამო“ (მახაჩყალა) — „ყარაბაღი“ (აგდამი) 5:0, „ბაკინეცი“ (ბაქო) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 3:2.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ“ ს. | 6 | 4 | 1 | 1 | 13-5 | 9 |
| „ხაზარი“ ს. | 6 | 4 | 1 | 1 | 12-5 | 9 |
| „დინამო“ ს. | 4 | 4 | 0 | 0 | 10-2 | 8 |
| „მეტალ.“ | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 8 |
| „ტექსტილ.“ | 4 | 3 | 1 | 0 | 12-2 | 7 |
| „გოიაზანი“ | 5 | 3 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| „დილა“ | 5 | 3 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| „კოლხეთი“ ხ. | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 6 |
| „ბაკინ.“ | 5 | 2 | 2 | 1 | 6-8 | 6 |
| „ტორპედო“ | 5 | 2 | 1 | 2 | 7-5 | 5 |
| „ქიაფაზი“ | 6 | 2 | 1 | 3 | 9-9 | 5 |
| „ნარტი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 5 |
| „დინ.“ (მახ.) | 5 | 1 | 3 | 1 | 9-7 | 5 |
| „კოლხეთი“ ფ. | 5 | 2 | 0 | 3 | 4-5 | 4 |
| „ხაზარი“ ლ. | 6 | 2 | 0 | 4 | 4-8 | 4 |
| „ლოკ.“ (მ. წყ.) | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 4 |
| ომც (თბ.) | 6 | 1 | 1 | 4 | 6-14 | 3 |
| „შევარდ.“ | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 2 |
| „ატომმაში“ | 5 | 1 | 0 | 4 | 4-9 | 2 |
| „ყარაბაღი“ | 4 | 1 | 0 | 3 | 2-11 | 2 |
| „ზვეზდა“ | 4 | 0 | 2 | 2 | 4-9 | 2 |
| „მერცხ.“ | 6 | 0 | 2 | 4 | 6-12 | 2 |

# ვახტანგ იაგორაშვილი ლიდერობს

**ვარენდორფში** (გფრ). აქ ტარდება თანამედროვე ხუთჭიდელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თასზე, რომელშიც საბჭოთა ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით გამოდის.

პირველ სახეობაში — ფარიკაობაში ყველაზე კარგი შედეგი ამერიკელმა რომბმა აჩვენა. 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს მოსკოველ ანატოლი სტაროსტინს მეოთხე შედეგი — 940 ქულა ჰქონდა.

მეორე სახეობაში — ცურვაში გამარჯვება სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა თბილისელმა ვახტანგ იაგორაშვილმა მოიპოვა, 300 მეტრზე გულაღმა ცურვაში დისტანცია 3.14,34-ში დაფარა. ტყვიის სროლაში პირველი უნგრელი ატილა მიჟერი იყო.

სამი სახეობის შემდეგ დაწინაურდა ვახტანგ იაგორაშვილი, რომელმაც 3335 ქულა დააგროვა. მას 20 ქულით ჩამორჩება და ჯერჯერობით მეორე ადგილზე იმყოფება ანატოლი სტაროსტინი. მესამე შედეგი — 3312-3312 აქვთ ცნობილ იტალიელ ხუთჭიდელს პაოლო მასალას და უნგრელ ადამ მადარაშს.

გუნდურ შეჯიბრებაში ლიდერობენ უნგრელი სპორტსმენები — 12665 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან საბჭოთა (12557 ქულა) და ფრანგი (12348 ქულა) ხუთჭიდელები.



**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**
**(ა. წერეთლის გამზირი №2)**

**3 მაისი ● ფეხბურთი ● სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი)**

დასაწყისი 19 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 30 აპრილიდან 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 3 მაისს 12 საათამდე.

გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა შედგება 3 მაისს „ლოკომოტივის“ სტადიონზე. დასაწყისი 12 საათზე.

# ფინიში საინტერესო იქნება

**ოთხი** ტურიც და დამთავრდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 49-ე ჩემპიონატი. გორის საჭადრაკო კლუბ „მთიებში“ კი თითქოს სულაც არ იგრძნობა ფინიშის მოახლოება — ლიდერები კვლავ დაჯერებით მიიწევენ წინ. თუმცა, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ პრინციპულ ორთაბრძოლებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, რადგან არ გაურკვევიათ ერთმანეთში ურთიერთობა საპრიზო სამეულში შემავალ მოჭადრაკეებს. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკური ჩემპიონატი საინტერესო და დაძაბულ ფინიშს გვპირდება.

VII ტურში ნუკრი მანაგაძე დაუზავდა ლიდერს — გია ბაღათუროვს. ბესიკ ხეცურიანმა კი შავი ფიგურებით რ. სიჭინავას სძლია იგორ ეფიმოვმა შავი ფიგურებით გადადო პარტია თემურ ვალიევთან. ამ ტურში შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილე ორივე ქალმა გაიმარჯვა — ციალა ქასოშვილმა დავით ლობჟანიძე დაამარცხა, ქეთევან არახამიამ — ხვიჩა სუპატაშვილი. აკაკი იაშვილისა და თამაზ ტაბატაძის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

7 ტურის შემდეგ გია ბაღათუროვს 6 ქულა აქვს, ბესიკ ხეცურიანს — 5, იგორ ეფიმოვს — 4 (1), თამაზ ტაბატაძეს — 3,5 (1), ქეთევან არახამიას — 3,5, ნუკრი მანაგაძეს — 3, ციალა ქასოშვილსა და ხვიჩა სუპატაშვილს — 2,5-2,5 (1-1), აკაკი იაშვილს, თემურ ვალიევს, რომან სიჭინავასა და დავით ლობჟანიძეს — 2-2 (1-1).

## „სპორტპროგნოზი“

**მე-17 ტირაჟის შედეგები**
**(22-23 აპრილი)**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მე-17 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 22-23 აპრილს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.526.627 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცნია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (26) მოგება 4.069 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (477) — 831 მანეთი.

საქართველოში: 13-0, 12-0, 11-10.

მე-17 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 13 მაისიდან 13 ივნისის ჩათვლით.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 23 აპრილს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-17 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** დაშვებულია 1803 915 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (18 ვარიანტი) მოგება 4176 მანეთია, ოთხისთვის (1484) — 54, სამისთვის (28817) — 4.

საქართველოში: 6-0, 5-1, 4-40, 3-363.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** დაშვებულია 19 211551 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (50 ვარიანტი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (7781) — 113, სამისთვის (300289) — 5.

საქართველოში: 5-1 (თბილისი) 4-226, 3-7.424.

მე-17 ტირაჟების მოგებები გაიცემა 1989 წლის 8 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 30 აპრილი.** რიტმული ტანვარჯიში — **9.15 (1)**, „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **9.45(1)**; სპორტი და პიროვნება — **17.45 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **0.55 (1).**

**1 მაისი.** დილის ვარჯიში — **9.00 (2).** გდრ-ისა და სსრ კავშირის მოცურავეთა სამატჩო შეხვედრა — **13.10 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში: ფინალური ტურნირის მატჩები — **16.55 (2) და 17.50 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი სროლაში — **17.40 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში: ფინალური ტ[illegible]რის მატჩი — **23.40 (1).**

**2 მაისი.** დილის ვარჯიში — **9.00 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში — **9.15 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „არარატი“ (ერევანი) — **17.25 (2)**; შესვენების დროს: სპორტი ყველასათვის — **18.15 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **21.15 (2)**;

**3 მაისი.** დილის ვარჯიში — **9.00 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (მოსკოვი) — **20.00 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 30 აპრილი.** კალათბურთის პრობლემები — **18.10.**

**საქართველოს რადიო. 30 აპრილი.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30.**

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 4 მაისს.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს სპორტსახკომი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭო და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს ივანე ბოჭორიძეს დედის

**ეკატერინე ლაფერაშვილ-ბოჭორიძის**

გარდაცვალების გამო.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„ერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10437